<u>რეგრესის უფლებით</u>

გენერალური ხელშეკრულება ფაქტორინგის შესახებ N ----------

ქ. თბილისი ---------- 202--- წელი

ერთის მხრივ სს "ბანკი ქართუ" (შემდგომში "ბანკი") წარმოდგენილი ---------- მიერ და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში "კლიენტი/კრედიტორი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- (პირადი N ----------) მიერ (ქვემოთ თითოეული მხარე მოიხსენიება როგორც "მხარე", ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც "მხარეები") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულება და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ტერმინებს და გამოთქმებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

- **ფაქტორინგული ოპერაცია** – წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ბანკის მიერ კლიენტისათვის გაწეული ფინანსური მომსახურება რაც გულისხმობს ფულადი მოთხოვნის ბანკისათვის გადაცემის სანაცვლოდ ბანკის მიერ კლიენტისათვის წინასწარ ფინანსური სახსრების გამოყოფას;
- **ფულადი მოთხოვნა** – მოთხოვნა ფულადი სახსრების მიღებაზე, რომელიც წარმოიშვება/წარმოშობილია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე ან/და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კლიენტის მიერ დებიტორისათვის გადახდის გადავადების პირობით საქონლის მიწოდების/ნასყიდობის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის საფუძველზე, მათ შორის კონტრაქტით გათალისწინებული პირგასამტეხლო/ჯარიმა.
- **წინასწარი დაფინანსების ლიმიტი** – ბანკის მიერ განსაზღვრული კუმულატიური ფულადი მოთხოვნის ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ბანკი კისრულობს კლიენტის დაფინანსების ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- **წინასწარი დაფინანსება** – გულისხმობს ბანკის მიერ კლიენტისათვის წინასწარ დაფინანსების ლიმიტის ფარგლებში გამოყოფილი ფულადი მოთხოვნის ნაწილს, რომელსაც ბანკი კლიენტს გადაუხდის წინასწარ, შესაბამისი ფულადი მოთხოვნის განხორციელებამდე;
- **დაფინანსების ნაშთი** - სხვაობა ფულად მოთხოვნასა და წინასწარ დაფინანსებას შორის;
- **კონტრაქტი** – კლიენტსა/კრედიტორს და მოვალეს/დებიტორს შორის დადებული გარიგება კლიენტის მიერ საქონლის მიწოდების/ნასყიდობის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის თაობაზე გადახდის განვადების პირობით. კონტრაქტების ჩამონათვალი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- **მოთხოვნის დამთმობი მხარე/კრედიტორი** - ხელშეკრულების მხარე, რომელიც გადასცემს ძირითადი კონტრაქტიდან გამომდინარე დებიტორულ დავალიანებას ბანკს წინამდებარე ფაქტორინგის ხელშეკრულების შესაბამისად.
- **მოვალე/დებიტორი** – კონტრაქტის მხარე რომლის მიმართაც კლიენტი განახორციელებს/განახორციელა საქონლის მიწოდებას/ნასყიდობას, სამუშაოს შესრულებას ან მომსახურების გაწევას. დებიტორების ზუსტი ჩამონათვალი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- **საბანკო ანგარიში** – კლიენტის ბანკში არსებული საბანკო ანგარიშ(ებ)ი.
- **დაკავშირებული უფლებები** – დებიტორის მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მოთხოვნის (რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს მომსახურების გაწევის, სამუშაოს შესრულების და მისაწოდებელი/გასაყიდი საქონლის ყველა შესაძლო სადაზღვევო მოთხოვნასთან დაკავშირებული სარგებლის მიღების უფლებებს) ასევე, ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებული და ამ უფლებებიდან წარმოშობილი ყველა სხვა სახის უფლება.

2. ხელშეკრულების საგანი და პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება იდება მხარეებს შორის 202-- წლის --- ------- დადებული N---------- საკრედიტო მომსახურებაზე გენერალური ხელშეკრულების (შემდგომ „გენერალური ხელშეკრულება“) საფუძველზე და მასზე ვრცელდება გენერალური ხელშეკრულების ყველა პირობები, ხოლო გენერალურ ხელშეკრულების დებულებებსა და ამ ხელშეკრულების დებულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების დებულებებს. გენერალური ხელშეკრულების პირობები და ვალდებულებები რომელიც არ არის ასახული ამ ხელშეკრულებაში ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულებაზე.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და მის საფუძველზე კლიენტი კისრულობს ვალდებულებას დაუთმოს (გადასცეს) ბანკს კონტრაქტ(ებ)იდან და დაკავშირებული უფლებებიდან გამომდინარე ფულადი მოთხოვნა, რის სანაცვლოდაც ბანკი გაუწევს კლიენტს მრავალჯერად ფაქტორინგულ მომსახურებას, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ლიმიტის ფარგლებში.

2.3. წინასწარი დაფინანსების ლიმიტის ოდენობა - ---------- (თანხა სიტყვიერად).

2.4. წინასწარი დაფინანსების ლიმიტის მოქმედების ვადა – 202- წლის [დღე] თვე.

2.5. წინასწარი დაფინანსების ერთჯერადი საკომისიო – ----.

2.6. წინასწარი დაფინანსების ოდენობა - კლიენტის მიერ დებიტორ(ებ)ისათვის საქონლის მიწოდების/ნასყისობის/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული თანხის 100% ან მისი ნაწილი, რომლის კონკრეტული ოდენობაც განისაზღვრება დანართი N1-ით.

2.7. დაფინანსების საზღაური - წლიური --%;

2.8. პირგასამტეხლოს ოდენობა - წინამდებარე ხელშეკრულებით კლიენტის მიერ შეუსრულებელი ნებისმიერი ფულადი ვალდებულების ---%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2.9. კლიენტი ადასტურებს და აცნობიერებს, რომ ბანკის მიერ კონკრეტული დაფინანსების განხორციელება წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, და ბანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთპიროვნულად მიიღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული დაფინანსების განხორიცლეების ან არ განხორციელების შესახებ.

3. ფაქტორინგული ოპერაციის დაფინანსების წესი და პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტის წინასწარი დაფინანსებისათვის კლიენტი ვალდებულია წარუდგინოს ბანკს:

3.1.1. კონტრაქტის დედანი ან სკანირებული ასლი, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში შემდგომ დედნის წარმოდგენით;

3.1.2. საქონლის/სამუშაოს/მომსახურების დებიტორის მიერ მიღების დამადასტურებელ დოკუმეტი (სათანადო ფორმით გაცემული მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული კლიენტისა და დებიტორის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით;

3.1.3. ინვოისის ასლი დამოწმებული კლიენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, რომელსაც მინიჭებული უნდა ჰქონდეს ინვოისის გამომწერის მიერ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი;

3.1.4. სასაქონლო ზედნადები (არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული კლიენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით;

3.1.5. წერილის დედანი დამოწმებული კლიენტისა და დებიტორის უფლებამოსილი პირების ხელმოწერით დანართი N2-ის შესაბამისად; რომელშიც ასევე მითითებული იქნება სახსრების ამოღების უფლებამოსილების გადაცემის შესახებ, ამასთან, წერილში, სხვა აუცილებელ დეტალებთან ერთად, მითითებული უნდა იყოს საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერილობა, ოდენობა, გაყიდვის/შესრულების პირობები და გადახდის თარიღი; უშუალოდ წერილში სხვა აუცილებელ დეტალებთან ერთად მითითებული უნდა იყოს ბანკის ანგარიშის ნომერი, კლიენტის საიდენტიფიკაციო ნომერი, დებიტორის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი და კონტრაქტის რეკვიზიტები.

3.1.6. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (თუკი მისი გამოწერა შესაძლებელია კანონმდებლობიდან გამომდინარე);

3.1.7. ნებისმიერი სხვა დოკუმენტი/ინფორმაცია რომელსაც ბანკი ჩათვლის საჭიროდ მის მიერვე დადგენილი ფორმით.

3.2. ბანკი უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს 3.1 პუნქტში ჩამოვლილი დოკუმენტებიდან, რომელთა წარმოდგენა იქნება აუცილებელი დაფინანსების განსახორციელებლად. დაფინანსების გაცემის ფაქტი ითვლება

დასტურად, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების საკმარისად იქნა მიჩნეული ბანკის მიერ. მიუხედავად დაფინასების ფაქტისა ძალაში რჩება 3.1.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ბანკის უფლებამოსილება.

3.3. წარმოდგენილი ინვოისის გადახდის ვადა არ უნდა აღემატებოდოს კლიენტსა და დებიტორს შორის გაფორმებული კონტრაქტის ან ნებისმიერი შეთანხმების პირობებით გათვალისწინებულ გადახდის ვადას.

3.4. ბანკი კლიენტს წინასწარ უხდის კლიენტის მიერ დებიტორისათვის საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ინვოსით გათვალისწინებული თანხის --%-ს, თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის და ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღეს.

3.5. კლიენტს შეუძლია წარმოადგინოს რამოდენიმე ინვოისი, იმის გათვალისწინებით, რომ ერთ დებიტორთან წარმოებულ ინვოისთა საერთო ფასი (ინვოისებით გათვალისწინებული საერთო თანხების --%) არ უნდა აღემატებოს კონკრეტული დებიტორის მიმართ დადგენილ წინასწარი დაფინანსების ლიმიტს.

3.6. წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული ყველა საჭირო დოკუმენტის მიწოდებით კლიენტი ადასტურებს, რომ მის მიერ განხორციელებულ იქნა შესაბამისი საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა დროულად და გარიგების პირობების სრული დაცვით და რომ შესაბამისი ფულადი მოთხოვნა გადაეცა ბანკს.

3.7. კლიენტის მიერ დებიტორის მიმართ არსებული ფულადი მოთხოვნის ბანკისათვის გადაცემით ბანკზე გადავა განსაზღვრულ ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებული უფლებები.

3.8. დებიტორის მიერ ბანკის წინაშე შესასრულებელი ვალდებულების სრული მოცულობა და შესრულების ვადა განისაზღვრება კლიენტის მიერ ბანკისადმი მიწოდებული ამ ხელშეკრულებით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტებით.

3.9. თანხის დარჩენილ ნაწილს – დაფინანსების ნაშთს (ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით) ბანკი კლიენტს გადაუხდის შესაბამისი დებიტორის მიერ ფულადი მოთხოვნის ბანკის წინაშე სრულად შესრულების შემდეგ არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

3.10. კლიენტი ბანკს ფაქტორინგული მომსახურებისათვის უხდის დაფინანსების საზღაურს, რომელიც განისაზღვრება წინასწარი დაფინანსების თანხაზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთით.

3.11. დაფინანსების საზღაურის დაანგარიშება მოხდება წინასწარი დაფინანსების გაცემის თარიღიდან ფულადი მოთხოვნის ბანკისათვის სრულად გადახდამდე.

3.12. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაიქვითება კლიენტის ნებისმიერი საბანკო ანგარიშიდან. ბანკი ასევე უფლებამოსილია გამოუქვითოს კლიენტს დაფინანსების საზღაური, პირგასამტეხლო ან/და სხვა გადასახდელები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდგომი წინასწარი დაფინანსების ან/და დაფინანსების ნაშთიდან, მიუხედავად იმისა თუ რომელ დებიტორთან/კონტრაქტთან დაკავშირებით ხდება გადახდა ასევე სხვა დებიტორის მიერ ბანკის წინაშე განხორციელებული შესრულებებიდან.

3.13. ბანკი კლიენტისათვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ გადახდას (გადარიცხვას) განახორციელებს კლიენტის საბანკო ანგარიშებზე შესაბამისი თანხების ჩარიცხვით.

3.14. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი განახორციელებს წინასწარ დაფინანსებას კლიენტისათვის წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო დებიტორი შეცდომით ჩარიცხავს ფულადი მოთხოვნის თანხას კლიენტის ანგარიშზე, კლიენტი ვალდებულია წინასწარი დაფინანსების თანხა, დაფინანსების საზღაური, პირგასამტეხლოს და სხვა გადასახდელები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით, გადარიცხოს ბანკის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა.

3.15. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მიწოდებული საქონლის დებიტორის მიერ უკან დაბრუნების შესახებ, ასევე ნებისმიერი სახის პრეტენზიის შესახებ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს ხარისხის შესახებ დათმობილი (გადაცემული) ფულადი მოთხოვნის მიმართ, ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიზეზის მითითებით, და ასევე დაუყოვნებლივ წარუდგინოს ბანკს შესაბამისი დოკუმენტი საქონლის უკან დაბრუნების ან პრეტენზიის არსებობის შესახებ.

3.16. კლიენტი უფლებამოსილია შეასრულოს (დაფაროს) დათმობილი ფულადი მოთხოვნიდან გამომდინარე დებიტორის ვალდებულება ბანკის წინაშე.

3.17. კლიენტი იღებს ვალდებულებას ბანკის წინაშე შეასრულოს დებიტორის მიერ ნაკისრი ფულადი ვალდებულება, რაც გამოიხატება ბანკისათვის ფულადი თანხის გადახდაში მათ შორის ბანკის მიერ დებიტორის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც თუ:

ა) მოხდება დებიტორის მიერ ბანკისათვის ფულადი მოთხოვნის დროულად გადაუხდელობა ან ნაწილობრივ გადახდა. ამასთან, ფულადი მოთხოვნა ჩაითვლება დროულად გადაუხდელად თუ დებიტორმა არ გადაიხადა აღნიშნული თანხას შესაბამის დოკუმენტში მითითებულ თარიღში;

ბ) გაწეული მომსახურების/შესრულებული სამუშაოს/მიწოდებული საქონლის ღირებულებიდან დებიტორი ახდენს ჯარიმების ან სხვა გადასახდელების გამოქვითვას, რის შესაბამისადაც შემცირდება ფულადი მოთხოვნა;

გ) დებიტორი ამცირებს ფულად მოთხოვნას ნებისმიერი სხვა საფუძვლით;

დ) დებიტორი წაუყენებს ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებულ შესაგებელს ბანკს;

ე) აღმოჩნდება რომ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის კლიენტმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა დებიტორის გადახდისუუნარობის, მძიმე ფინანსური მდგომარეობის ან სხვა ისეთი ფაქტის შესახებ რომლის ცოდნის შემთხვევაშიც ბანკი არ განახორციელდება ფინანსირებას;

ვ) აშკარაა რომ დებიტორის მიერ არ შესრულდება ან ნაწილობრივ შესრულდება ფულადი მოთხოვნის გადახდა;

ზ) დათმობილი (გადაცემული) ფულადი მოთხოვნა ან კონტრაქტი გაბათილდება;

თ) ბანკის წინაწარი წერილობითი თანხმობის გარეშე კონტრაქტში განხორციელდა ისეთი ცვლილება რომლის საფუძველზეც შეიცვალა დათმობილი (გადაცემული) მოთხოვნის ოდენობა ან/და კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები;

ი) დათმობილი (გადაცემული) ფულადი მოთხოვნა აღმოჩნდება უფლებრივად ნაკლული.

3.18. ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს ფულადი მოთხოვნის დამაყოფილება კლიენტისგან, დებიტორისგან ან ორივე ამ სუბიექტისგან ერთროულად და სოლიდარულად.

3.19. თუ დადგება 3.16 პუნქტში მითითებული ერთ–ერთი ან რამოდენიმე პირობა ბანკი უფლებამოსილია მოსთხოვოს კლიენტს ფულადი მოთხოვნის გადახდა ბანკის მიერ მოთხოვნის წარდგენიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში (თუ ბანკის წერილობით მოთხოვნაში მითითებული არ არის სხვა ვადა), რის შესახებაც ბანკი ატყობინებს კლიენტს.

3.20. კლიენტის მიმართ რეგრესის უფლების გამოყენების შემდეგ ბანკი უფლებამოსილია არ დაუბრუნოს კლიენტს ფულადი მოთხოვნა.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინასწარი დაფინანსების ლიმიტი.

4.2. დებიტორის მიერ თავის ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან დებიტორის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში ბანკს, საკუთარი შეხედულებებისამებრ, უფლება აქვს შეცვალოს კონკრეტულ დებიტორზე დაშვებული წინასწარი დაფინანსების ლიმიტის ოდენობა მათ შორის შეამციროს ან გააუქმოს იგი, ასევე შეცვალოს წინასწარი დაფინანსების ლიმიტის საერთო მოცულობა ან უარი განაცხადოს წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე.

4.3. კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში ბანკს, საკუთარი შეხედულებებისამებრ, უფლება აქვს უარი განაცხადოს წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე ან/და კლიენტს მოსთხოვოს წინასწარ დაფინასებული ინვოისებიდან გამომდინარე ფულადი მოთხოვნ(ებ)ის წინასწარი დაფარვა.

4.4. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს კლიენტის საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია. აკონტროლოს კლიენტის საბანკო ანგარიშები. კლიენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნის საფუძველზე, ბანკის მიერ დადგენილ ვადებში და ბანკის მიერ დადგენილი ფორმით, წარუდგინოს ბანკს საფინანსო ანგარიშგება, ამონაწერები ყველა იმ საბანკო ანგარიშებიდან, რომელიც გახსნილი აქვს რეზიდენტ თუ არარეზიდენტ ბანკებში, სხვა ანგარიში და დოკუმენტაცია მისი ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციების შესახებ (საგადასახადო ანგარიშგების ჩათვლით), სხვა ინფორმაცია და დოკუმენტები, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის ბანკი.

4.5. ბანკი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კლიენტის დავალიანების თანხები, მათ შორის პირგასამტეხლო (თუ ასეთი არსებობს), ასევე თანხები რომელიც ამ ხელშეკრულების შესაბამისად ექვემდებარება გადახდას, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს კლიენტის ნებისმიერი საბანკო ანგარიშიდან (მათ შორის დავალიანების/დაქვითვის თანხისაგან განსხვავებულ ვალუტაში არსებული საბანკო ანგარიშიდან). ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება წინასწარ დაფინანსებული თანხის ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ხარჯზე მოახდინოს ერთ სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია გადახდის/ჩამოწერის დღისათვის ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად. საბანკო ანგარიშებზე არასაკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს კლიენტის ნებისმიერი და ყველა საბანკო

ანგარიში (ანუ არ შეასრულოს კლიენტის გადარიცხვები) კლიენტის მიერ ბანკის მიმართ დავალიანების თანხის სრულად დაფარვამდე. კლიენტი სრულად და უპირობოდ ეთანხმება 4.5 პუნქტში მოცემულ ბანკის უფლებას თანხების უაქცეპტო ჩამოჭრასთან და ბლოკირებასთან დაკავშირებით.

4.6. ბანკსა და დებიტორს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც უკავშირდება ბანკის მიერ თავისი უფლებების განხორციელებას გადაცემულ ფულად მოთხოვნებთან მიმართებაში, კლიენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას ყველა დოკუმენტი, რაც კლიენტს გააჩნია ან შეუძლია მიიღოს აღნიშნულ სადაო საკითხთან დაკავშირებით, ასევე სრული ინფორმაცია რასაც კლიენტი ფლობს ან შეუძლია მიიღოს აღნიშნულ სადაო საკითხთან დაკავშირებით.

4.7. კლიენტის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

4.8. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, კონსულტანტს, მრჩეველს, იურიდიულ ფირმას რომელიც ბანს უწევს პროფესიულ მომსახურებას ან/და ბანკის მიერ შერჩეულ მხოლოდ იმ მესამე პირს, რომელთანაც ბანკს გაფორმებული ექნება ხელშეკრულება კონფიდენციალობის დაცვის შესახებ.

4.9. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით კლიენტი/კლიენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი თანახმაა და აძლევს ბანკს უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფაქტორინგის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს ბანკისათვის აუცილებელი მისი პერსონალური მონაცემები. იმ შემთხვევაში თუ ფაქტორინგის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად კლიენტს წარმოადგენს იურიდიული პირი ან ნებისმიერი ორგანიზაციული წარმონაქმნი, ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობა ვრცელდება ამ იურიდიული პირის ან ნებისმიერი ორგანიზაციული წარმონაქმნის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა მიმართ.

4.10. კლიენტი უცხადებს ბანკს - ჩემთვის ცნობილია, რომ სს „ბანკი ქართუ“ შეაგროვებს/დაამუშავებს ჩემს შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება ჩემი გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით [სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები]. ჩემი მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. სს „ბანკი ქართუ“ უფლებამოსილია ჩემი სასესხო/გარესაბალანსო ვალდებულებების მოქმედების პერიოდში განახორციელოს ჩემი საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება ბიუროში ჩემი დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩემი გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და სანქციები

5.1. მხარეები ვალდებულნი არიან სათანადოდ შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო 2.8 პუნქტის შესაბამისად.

6. კლიენტის განცხადებები და გარანტიები

6.1. კლიენტი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

6.1.1. კლიენტი რეგისტრირებულია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;

6.1.2. გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობას, ხელშეკრულებას დებს თავისი საჭიროებისათვის და არ მოქმედებს მესამე პირის დავალებით. გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების და სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებების და განაცხადის ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილება და ამ მიზნით მისთვის მოპოვებული ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა;

6.1.3. არ მონაწილეობს არცერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის, ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მოსარჩელის, მოპასუხის, მესამე პირის ან სხვა სახით), რითაც შეიძლება საფრთხე შეექმნას მის ქონებას, საქმიანობას და/ან მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა ან სხვა ხელშეკრულებების პირობების შესრულებას, გარდა იმ პროცესებისა, რომელთა შესახებაც კლიენტმა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე წერილობით აცნობა ბანკს;

6.1.4. კლიენტი განუხრელად იცავს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამის საქმიანობას წარმართავს ყველა აუცილებელი ნებართვის/ლიცენზიის მიღების შემდეგ, საბუღალტრო აღრიცხვას აწარმოებს ბანკისათვის მისაღები ფორმით, სრულად და დროულად იხდის ყველა გადასახადს, მოსაკრებელს და სხვა გადასახდელს.

6.1.5. მის მიერ ბანკში წარდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისათვის არსებული ვალდებულებების შესახებ არის უტყუარი და ზუსტი;

6.1.6. წინამდებარე ხელშეკრულების დადება და მისი შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ ადრე დადებული ხელშეკრულებების პირობების დარღვევას;

6.1.7. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მის მიერ ნებაყოფლობით, ბანკის ან სხვა პირთა მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან სხვა ნეგატიური გარემოების ზემოქმედების გარეშე;

6.1.8. არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან (“შელ ბანკი”);

6.1.9. კლიენტის მიერ კონკრეტულ ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებული საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა განხორციელებულ იქნება ბანკისათვის შესაბამისი ინვოისის მიწოდებამდე;

6.1.10. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე კლიენტმა ბანკს მიაწოდა ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც კლიენტმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა რომ კავშირში იყო წინამდებარე ხელშეკრულებასთან და იქონიებდა გავლენას ბანკის გადაწყვეტილებაზე ამ ხელშეკრულების დადებასთან.

6.1.11. კლიენტი და დებიტორ(ებ)ი ეწევა საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებ და აუკრძალავ საქმიანობას.

6.2. კლიენტი იღებს ვალდებულებას:

6.2.1. ბანკს გადასცეს უფლებრივად უნაკლო ფულად მოთხოვნები, რომელიც თავისუფალი იქნება ნებისმიერი მესამე პირის პრეტენზიისა და მოთხოვნისაგან. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი სახის მესამე პირის პრეტენზიის ან მოთხოვნის შესახებ;

6.2.2. კლიენტი საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევისთანავე ან ბანკის მოთხოვნისთანავე მიაწვდის მას ასეთი გადაცემის/განხორციელებული მომსახურების ან სამუშაოს დამამტკიცებელ სათანადოდ დამოწმებულ საბუთს, ასევე მის მფლობელობაში არსებულ ყველა საბუთს, რომელიც ეხება ფულად მოთხოვნას და/ან დაკავშირებულ უფლებებს, ასევე ყველა სახის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია ამ მოთხოვნებისა და უფლებების გამოყენებისათვის;

6.2.3. გადასცემს ბანკს ყველა დოკუმენტის ასლს რომელსაც ერთმანეთს უცვლიან კლიენტი და დებიტორი, ასევე დებიტორთან გაფორმებული კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის თითო ეგზემპლარს, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან/ნასყიდობასთან, სამუშაოს შესრულებასთან ან მომსახურების გაწევასთან, მათ შორის სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტებს (ზედდებული, კონოსამენიტი და ა.შ.) და სხვა.

6.2.4. წინამდებარე ხელშეკრულებასთან და/ან კონტრაქტებთან დაკავშირებულ ნებისმიერ თანხებს მიიღებს ან გადარიცხავს საბანკო ანგარიშებიდან, ასევე განახორციელებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ან მასთან დაკავშირებულ ყველა სახის ფინანსურ ოპერაციას აღნიშნული საბანკო ანგარიშების მეშვეობით;

6.2.5. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ყოველი საქონლის გადაცემა, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა განხორციელებულ იქნება კლიენტის მიერ მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში;

6.2.6. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დებიტორებთან და/ან კონტრაქტებთან დაკავშირებით არ დადებს ფაქტორინგული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას ან სხვა მსგავს შეთანხმებას სხვა პირთან;

6.2.7. არ განახორციელებს ფულადი მოთხოვნების დატვირთვას, დათმობას, რეალიზაციას ან სხვაგვარ გადაცემას.

6.3. მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ ბანკი წინამდებარე ხელშეკრულებას დებს ზემოთ მოცემულ განცხადებებზე, გარანტიებზე და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კლიენტის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლის მას ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, ხელშეკრულების დადების შემდეგ ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადებები, გარანტიები თუ აღმოჩნდა არასწორი, ან გახდა არასწორი ნებისმიერ პერიოდში და/ან დაირღვა სხვა მუხლებით ნაკისრი ვალდებულებები, ეს საკმარისი საფუძველია ბანკის მიერ თავის შეხედულებისამებრ ხელშეკრულების ცალმხრივად შესაწყვეტად.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

7.1. გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით აღნიშნული შემთხვევებისა ბანკი ასევე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ:

7.1.1. კლიენტის/დებიტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც ბანკის აზრით საფრთხეს უქმნის ან საეჭვოს ხდის კლიენტის/დებიტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემდგომ შესრულებას;

7.1.2. გაუარესდა კლიენტის/დებიტორის ფინანსური და/ან ქონებრივი მდგომარეობა, რითაც, ბანკის აზრით, საფრთხე შეექმნა წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან/და ფულადი მოთხოვნის ჯეროვან შესრულებას;

7.1.3. მიღებულია გადაწყვეტილება კლენტის/დებიტორის შერწყმის, გაყოფის, სხვა სახის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, გახსნილია გადახდისუუნარობის საქმე;

7.1.4. კლიენტის/დებიტორის ნებისმიერ საბანკო ანგარიშზე სასამართლო აღმასრულებლის, საგადასახადო ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ წარდგენილი იქნა საინკასო დავალება ან/და საბანკო ანგარიში ან/და ნებისმიერი სხვა ქონება იქნა დაყადაღებული თუ არ მოხდა საინკასო დავალების შესრულება ან მოხსნა, ან ყადაღის მოხსნა 30 დღის განმავლობაში ან/და ქონება იქნება ჩამორთმეული;

7.1.5. კლიენტი/დებიტორი არღვევს კანონმდებლობიდან ან რომელიმე გარიგებიდან გამომდინარე თავის ვალდებულებებს.

7.1.6. თუ კლიენტი სრულად ან დროულად არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს და ინფორმაციას, ან თუ აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია, ან კლიენტის განცხადებები და/ან გარანტიები, ან მათი რაიმე ნაწილი გაქარწყლდა/გაბათილდა, იქნება არასწორი ან ყალბი;

7.1.7. კლიენტი დაარღვევს ამ ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა რომელიმე ვალდებულებას ან/და შეეცდება ბანკისათვის ხელის შეშლას თავისი უფლებამოსილების განხორციელებაში, აგრეთვე ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7.2. ბანკის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებები რჩება ძალაში. შეწყვეტის დღიდან ბანკი არ არის ვალდებულია განახორციელოს კლიენტის წინასწარი დაფინანსება დანართ N1-ის შესაბამისად.

8. კონფიდენციალობა

8.1. მხარეები ვალდებულნი არიან, არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში და მის დასრულების შემდეგაც, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. კონფიდენციალური ინფორმაცია გულისხმობს ამ ხელშეკრულებიდან ან/და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი სხვა სახის შეთანხმებიდან გამომდინარე დოკუმენტურ ან სხვა სახის ინფორმაციას, მათ შორის: ბანკისა და კლიენტის შესახებ პერსონალურ ინფორმაციას, რომლითაც სარგებლობა შეზღუდული ან აკრძალულია მხარეთა შეთანხმებით/ან და კანონით. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება:

8.1.1 იმ ინფორმაციაზე, რომელიც არის ან გახდება გარეშე პირებისათვის ხელმისაწვდომი მხარეთაგან დამოუკიდებლად;

8.1.2 იმ ინფორმაციაზე, რომლის მოპოვებაც მოხდება სხვა წყაროებიდან;

8.1.3 იმ ინფორმაციაზე, რომლის გამჟღავნებაც მოხდება რომელიმე მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

8.1.4 იმ ინფორმაციაზე, რომელიც ბანკმა გასცა ან/და მიიღო წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

8.2. კლიენტი აცხადებს თანხმობას მის შესახებ ბანკში არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები, ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან და სასესხო ანგარიშთან/განხორციელებულ (განსახორციელებელ) ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ბანკმა გადასცეს ბანკის მიერ შერჩეულ მხოლოდ იმ მესამე პირს, რომელთანაც ბანკს გაფორმებული ექნება ხელშეკრულება კონფიდენციალობის დაცვის შესახებ და, თუ აღნიშნული მესამე პირი უზრუნველყოფს კლიენტის პერსონალური მონაცემების სათანადო დაცვას, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამის უფლებამოსილ პირს, მათ შორის ბანკის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების მიზნებისთვის აუდიტორს, საგადასახადო კონსულტანტს, მრჩეველს, შემფასებელს და მათ დამხმარე პირებს, ბანკსა და კლიენტის შორის სასამართლო დავის (სამოქალაქო ან ადმინისტრაციული), სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, ადმინისტრაციული სამართალწარმოების, საარბიტრაჟო წარმოების ან მედიაციის არსებობის შემთხვევაში - სასამართლოს, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, არბიტრაჟს, მედიატორებს, შეუზღუდავად,

მიუხედავად იმისა დახურულია თუ არა სხდომა/წარმოება (ხოლო თუ სამართლებრივი დავის მხარე არ არის კლიენტი, თუ სხდომა/წარმოება დახურულია ან სასამართლოს/სხვა ორგანოს/პირის კანონიერი დავალებით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა მოითხოვა სხდომის/წარმოების დახურვა/გასაიდუმლოება, მაგრამ უარი ეთქვა), ადვოკატ(ებ)ს, კონსულტანტ(ებ)ს და მათ დამხმარე პირებს, ასევე ბანკის მიერ კლიენტის მიმართ თავისი უფლება-მოვალეობების მესამე პირებისთვის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო წესით დათმობის/გადაცემის მომზადების/დადების/შესრულების მიზნით.

9. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე.

9.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მოთხოვნის დათმობის პროცესში მხარეთა შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, 9.3 პუნქტის გათვალისწინებით. მხარეთა ელექტრონული ფოსტის შემდეგი მისამართების გამოყენებით: ბანკი: ----------; კლიენტი ----------.

9.3. მხარეები ადასტურებენ, რომ ელექტრონული ფოსტით განხორციელებულ მიმოწერას და თანდართულ დოკუმენტებს აქვს/აქვთ მატერიალური სახით დოკუმენტების გაცვლის ტოლფასი სამართლებრივი ძალა და იწვევენ შესაბამის სამართლებრივ შედეგებს. აღნიშნული წესიდან გამონაკლისია ის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საბანკო რეკვიზიტებს, რომელზეც ბანკის მიერ უნდა განხორციელდეს ფულადი მოთხოვნის გადახდა და ასეთი დოკუმენტ(ებ)ი ბანკს უნდა წარედგინოს მატერიალური სახით ან/და მიეწოდოს ინტერნეტ ბანკის საშუალებით. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მატერიალური დოკუმენტის ბანკისათვის წარდგენა და ასეთი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე.

9.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით და ისინი განიხილებიან, როგორც წინამდებარე ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილები.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გადადის მხარეთა უფლებამონაცვლეებზე. კლიენტს უფლება არა აქვს, ბანკის თანხმობის გარეშე, მესამე პირს გადასცეს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულება ან უფლება. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის თანხმობის გარეშე, მესამე პირს გადასცეს ამ ხელშეკრულებასთან და მასთან დაკავშირებული უფლებები, რის საფუძველზეც ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის კონფიდენციალური), კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, გადაეცემა მესამე პირს.

9.7. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

9.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარძალოვან იურიდიულ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი დარჩება ბანკში, ერთი გადაეცემა კლიენტს.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები

<u>ბანკი</u>	<u>კლიენტი/კრედიტორი</u>
სს „ბანკი ქართუ" საიდენტიფიკაციო ნომერი: 204891652 მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ N39ა ელ. ფოსტა: info@cartubank.ge	***დასახელება*** საიდენტიფიკაციო ნომერი: ---------- მისამართი: ---------- ელ. ფოსტა: ანგარიშის ნომერი: --------
_____	_____
წარმომადგენელი ხელმოწერა	წარმომადგენელი ხელმოწერა

დანართი №1
ფაქტორინგის შესახებ გენერალურ ხელშეკრულებაზე № ----------, დდ/თთ/წწ

შეთანხმება ფულადი მოთხოვნის დათმობის და დაფინანსების შესახებ

---------- 202--- წელი

ბანკი
სს „ბანკი ქართუ" (ს/კ 204891652)
მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ N39ა
ელ. ფოსტა: info@cartubank.ge

კლიენტი/კრედიტორი:
შპს ---------- (ს/კ ----------)
მისამართი:
ელ. ფოსტა:

წარდგენილი დოკუმენტები: *(ივსება არსებული დოკუმენტების მიხედვით)*

დოკუმენტი	დოკუმენტის № და თარიღი
მოვალე/დებიტორი	
კონტრაქტი	
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა / ინვოისი:	
სასაქონლო ზედნადები:	
მიღება-ჩაბარების აქტი:	
პროდუქციის/მომსახურების აღწერა:	
სხვა	

ოპერაციის დეტალები:

1.	ფულადი მოთხოვნის სრული ოდენობა *(კონტრაქტის / ინვოისის შესაბამისად)*	---------- ლარი/აშშ დოლარი/ევრო
2.	დაფინანსების ოდენობა *(კონტრაქტის ვალუტაში)*	---------- ლარი/აშშ დოლარი/ევრო *(გადახდა განხორციელდება ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად)*
3.	ფულადი მოთხოვნის დაფარვის ბოლო ვადა *(კონტრაქტის/ინვოისის შესაბამისად)*	
4.	პროდუქციის/მომსახურების მიწოდების თარიღი	

დანართი N2
ფაქტორიზგის შესახებ # გენერალურ ხელშეკრულებაზე

შედარების აქტი და შეთანხმება ფულადი მოთხოვნის დათმობის შესახებ

---------- 202--- წელი

კლიენტი/კრედიტორი:
შპს ---------- (ს/კ ----------)
მისამართი:
ელ. ფოსტა:

მოვალე/დებიტორი:
შპს ---------- (ს/კ ----------)
მისამართი:
ელ. ფოსტა:

წარდგენილი დოკუმენტები:
ა) კრედიტორსა და მოვალეს შორის 202- წლის -- ---------- ნასყიდობის ხელშეკრულება N--------;
ბ) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი: #, თარიღი;
გ) მიღება-ჩაბარების აქტი: #, თარიღი (არსებობის შემთხვევაში);
დ) სასაქონლო ზედნადები ან სხვა სატრანსპორტო დოკუმენტი: #, თარიღი (არსებობის შემთხვევაში).

ფულადი მოთხოვნა: კრედიტორის უფლება მოსთხოვოს მოვალეს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულება, კერძოდ, ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი უფლებები, მოითხოვოს და მიიღოს მოვალისგან ფულადი ვალდებულების შესრულება ---------- ლარის ოდენობით და ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი თანხების ოდენობით.

1. კრედიტორი და მოვალე ადასტურებენ, რომ მათ შორის გაფორმებულია კონტრაქტი;
2. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით კრედიტორი აცხადებს, ხოლო მოვალე ადასტურებს, რომ კრედიტორის მიერ სრულად იქნა შესრულებული კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება და მოვალეს არ გააჩნია არანაირი სახის პრეტენზია (მათ შორის მიწოდებული საქონლის მოცულობაზე და ხარისხზე, გაწეული მომსახურების ხარისხზე და ა.შ.) კრედიტორთან გამომდინარე კონტრაქტიდან და არ არსებობს ფულადი მოთხოვნის რაიმე გარემოებით შემცირების მოთხოვნის უფლება.
3. წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით კრედიტორი აცხადებს, ხოლო მოვალე ადასტურებს, რომ კრედიტორს გაჩნია მოვალის მიმართ ფულადი მოთხოვნა გამომდინარე კონტრაქტიდან საერთო ჯამში 00.000.00 (----------) ოდენობით.
4. მოვალის მიერ ფულადი მოთხოვნის გადახდა მოხდება კონტრაქტით დადგენილი პირობის შესაბამისად, კერძოდ მიწოდების დღიდან -- კალენდარული დღის ვადაში, არაუგვიანეს ----------.
5. წინამდებარე შეთანხმებით კრედიტორი აცნობებს მოვალეს, რომ კრედიტორსა და სს „ბანკი ქართუს“ შორის 202- წლის -- ---------- დადებული N-- ფაქტორინგის შესახებ გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე მან, კრედიტორმა, არსებული ფულადი მოთხოვნა სრულად და უპირობოდ გადასცა ბანკს და კრედიტორის ადგილი აღნიშნულ ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებით დაიკავა ბანკმა. შესაბამისად ბანკი უფლებამოსილია მოვალეს წაუყენოს ყველა სახის მოთხოვნა რისი უფლებაც ჰქონდა ან ექნებოდა კრედიტორს აღნიშნულ ფულად მოთხოვნასთან მიმართებაში.
6. კრედიტორისთვის და მოვალისთვის ცნობილია, რომ ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს ფულადი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალისაგან, კრედიტორისგან ან ორივე ამ სუბიექტისგან ერთროულად და სოლიდარულად.
7. მოვალე ვალდებულია ფულადი მოთხოვნა, მე–4 პუნქტში მითითებული გადახდის ვადის დადგომისას გადაუხადოს ბანკს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე ჩარიცხვის გზით:

სს “ბანკი ქართუ” ს/კ 204891652
ბანკის SWIFT კოდი: CRTUGE22
IBAN: ……..

8. ამასთან, კრედიტორი აცხადებს, ხოლო მოვალე ადასტურებს, რომ ფულადი მოთხოვნა არ არის დატვირთული, დათმობილი, გასხვისებული, გაცვლილი ან სხვაგვარად გადაცემული მესამე პირისათვის და მესამე პირებს არ გააჩნიათ რაიმე პრეტენზია აღნიშნულ ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებით.
9. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო–თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს და მესამე გადაეცემა ბანკს.

მხარეები:

კლიენტი/კრედიტორი დასახელება წარმომადგენელი	ხელმოწერა .....
მოვალე/დებიტორი დასახელება წარმომადგენელი	ხელმოწერა .....